პირის გამოკითხვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად

ბექა ხუფენია

I. პირის ვინაობის დადგენა გამოკითხვის ფარგლებში

პირის გამოკითხვა პრევენციული ღონისძიების ერთ-ერთი სახეა. იგი თავის თავში გულისხმობს პოლიციელის უფლებამოსილებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაადგინოს პირის ვინაობა ღიად და უშუალოდ ამ პირისაგან, რისთვისაც შეუძლია ეს უკანასკნელი შეაჩეროს, გამოჰკითხოს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა.[1] ეს ღონისძიება, თავისი არსიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს დამოუკიდებლად ან სხვა პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად, როგორიცაა, მაგალითად: ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება, სპეციალური შემოწმება და დათვალიერება, სპეციალური საპოლიციო კონტროლი.[2]

1. ღონისძიების არსი

პოლიციელს უფლება აქვს, შესაბამისი საფუძვლ(ებ)ის არსებობისას, ქუჩაში ან სხვა ადგილზე შეაჩეროს პირი. პირი ვალდებულია, რომ შეჩერდეს - დაემორჩილოს პოლიციელის მითითებას შეჩერების შესახებ და არ აქვს უფლება, პოლიციელის ნებართვის გარეშე დატოვოს შეჩერების ადგილი. ღონისძიება არ ითვალისწინებს პოლიციელის უფლებას, გადაიყვანოს პირი დახურულ სივრცეში, თუმცა, როგორც აღინიშნა, ის პირს ავალდებულებს, დაემორჩილოს პოლიციელს და შეწყვიტოს მოძრაობა. შეჩერების შემდგომ პოლიციელს აქვს უფლება შეჩერებულ პირს გამოჰკითხოს პერსონალური მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი. ამასთანავე, მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა, რაშიც იგულისხმება არა მხოლოდ პირადობის მოწმობა, არამედ პირადობის დამადასტურებელ ნებისმიერ საბუთი. პირადობის დამადასტურებელი საბუთია: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ბინადრობის მოწმობა, სტუდენტური ბარათი, სამგზავრო ბარათი და აგრეთვე ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია ზემოთ ხსენებული პერსონალური მონაცემები. მთავარია, რომ დოკუმენტი იძლეოდეს პირის იდენტიფიცირების საშუალებას, როგორც ვიზუალურად (უმჯობესია დოკუმენტზე იყოს ფოტო, რათა მარტივად მოხდეს შეჩერებული პირის და დოკუმენტზე გამოსახული პირის გაიგივება), ასევე მონაცემების მიხედვით. შესაძლებელია, რომ მონაცემები შემოწმების მიზნით მიწოდებული იქნეს პოლიციის დანაყოფში მყოფი პირისთვის. შეჩერებული პირის მიერ საბუთების წარუდგენლობა ან კითხვებზე პასუხის არგაცემა არ წარმოადგენს მისი ადმინისტრაციულ

[1] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ მე-19 მუხლი.

[2] ლ. იზორია, საპოლიციო სამართალი, თბილისი, 2015, 145-146.

სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) დაკავების საფუძველს.[3] პოლიციელს არ აქვს უფლება, რომ ასკ-ის 173-ე მუხლით დააკავოს შეჩერებული, თუ ის უარს ამბობს საბუთების წარმოდგენაზე ან არ პასუხობს პოლიციელის კითხვებს. მის მიმართ შესაძლოა გამოყენებული იქნეს სხვა პრევენციული ღონისძიება, მაგალითად, პირის იდენტიფიკაცია.[4]

2. ღონისძიების ხანგრძლივობა

გამოკითხვის დროს პირი შეჩერებული შეიძლება იყოს გონივრული დროით, რომელიც, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საათს. ამ დროში უნდა მოხდეს პირთან კომუნიკაციის დამყარება. შესაძლოა გამოკითხვა დასრულდეს 3-5 წუთში ან ამავე დროში ცნობილი გახდეს, რომ გამოკითხვას შედეგი არ მოსდევს (პირი უარს ამბობს თვითიდენტიფიცირებაზე), და საჭიროა სხვა საპოლიციო პრევენციული ღონისძიების განხორციელება.

პრევენციულ ღონისძიება - პირის გამოკითხვის დროს კანონი არ ითვალისწინებს ოქმის შედგენის ვალდებულებას. პოლიციელს არ აქვს ვალდებულება, რომ შეავსოს ოქმი პირის გამოკითხვის დროს.

3. ღონისძიების საფუძვლები

პრევენციულ ღონისძიების - პირის გამოკითხვის - განხორციელების უფლებამოსილება პოლიციელს აქვს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კანონი ითვალისწინებს ასეთი საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს. ესენია:[5]

ა) პირს აქვს ძებნილი ან დაკარგული პირის იდენტური გარეგნული ნიშნები;

ბ) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა ან ჩაიდენს მას;

გ) პირი იმყოფება სპეციალური რეჟიმისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ან ობიექტზე ან სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელების ადგილზე;

დ) პირს თან აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იარაღი, რომლის ტარებაც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, და ამ იარაღის ტარების უფლების დადგენა სხვაგვარად შეუძლებელია;

ე) პირი იმყოფება დანაშაულის ან საგზაო-სატრანსპორტო ან სხვა საგანგებო შემთხვევის ადგილზე;

ვ) პირის ან სატრანსპორტო საშუალების გარეგნული ნიშნები ან პირის მოქმედება სამართალდარღვევაში მის შესაძლო მონაწილეობაზე მიანიშნებს.

ა) ძებნილი ან დაკარგული პირის იდენტური გარეგნული ნიშნები

პოლიციის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს ძებნილი პირების დაკავება და შესაბამის ორგანოში წარდგენა, ასევე დაკარგული პირების ძებნა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელება. ბუნებრივია, ამ ფუნქციის შესასრულებლად კანონი პოლიციელს აძლევს უფლებას, რომ შეაჩეროს ის პირი, რომელსაც აქვს ძებნილი ან დაკარგული პირის იდენტური გარეგნული ნიშნები, გამოჰკითხოს მას პერსონალური მონაცემები, მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და გადაამოწმოს ეს მონაცემები.

---

[3] mutatis mutandis საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება № 1/2/503,513, სამოტივაციო ნაწილი, 42-ე პუნქტი.

[4] ლ. იზორია, საპოლიციო სამართალი, თბილისი, 2015, 150.

[5] ლ. იზორია, საპოლიციო სამართალი, თბილისი, 2015, 146.

მოცემულ საფუძველთან დაკავშირებით მაგალითის სახით შესაძლოა შემდეგი შემთხვევების განხილვა:

მაგ. №1: პატრულ-ინსპექტორებმა პატრულირების დროს შენიშნეს პიროვნება, რომელიც ვიზუალურად ჰგავს სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ძებნილ პირს. აღნიშნულის საფუძველზე პოლიციელებმა შეაჩერეს ეს პირი, გამოჰკითხეს მას პერსონალური მონაცემები, მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და გადაამოწმოს ეს მონაცემები. პირი არ აღმოჩნდა ძებნილი.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელებს ჰქონდათ აღნიშნული ქმედებების განხორციელების სრული უფლება და მათ იმოქმედეს კანონით დადგენილ ფარგლებში. *იდენტურ გარეგნულ ნიშნებში* არ იგულისხმება ზუსტი თანხვედრა. ძებნილი პირები, ბუნებრივია, ცდილობენ მათი გარეგნობისა და ვიზუალის შეცვლას (წვერის გაზრდა/გაპარსვა, თმის შეჭრა/გაზრდა და ა. შ.) ამიტომ, რა თქმა უნდა, კანონი არ მოითხოვს სრულ მსგავსებას, საკმარისია ობიექტური მსგავსება (სახის ნაკვთები, მოყვანილობა, სიარულის მანერა, და ა. შ.). ნებისმიერი ისეთი მსგავსება, რომელმაც შეიძლება პოლიციელს აფიქრებინოს, რომ ეს პირი არის ის ძებნილი პირი, რომლის ფოტოც მას აქვს ნანახი. აუცილებელია, რომ ძებნილი პირი ოფიციალური წესით იყოს ძებნილად გამოცხადებული.

მაგ. №2: პოლიციის განყოფილებაში შევიდა მოქალაქე დემეტრეს განცხადება, რომელიც განმარტავდა, რომ 3 დღის წინ შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა მისი ძმა. განყოფილების უფროსმა დილის თათბირზე მართლწესრიგის ოფიცრებს გააცნო დემეტრეს განცხადება, რომელშიც აღწერილია დემეტრეს დაკარგული ოჯახის წევრის გარეგნული მახასიათებელი ნიშნები და იმავდროულად აჩვენა ფოტოსურათი. მართლწესრიგის ოფიცრებმა ერთ-ერთ სკვერში შენიშნეს სურათზე ნანახი პირის მსგავსი პირი იმავე მახასიათებელი ნიშნებით, მივიდნენ მასთან და გამოჰკითხეს მას პერსონალური მონაცემები, მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და გადაამოწმეს ეს მონაცემები. ეს პირი ნამდვილად აღმოჩნდა დემეტრეს ძმა.

მოცემულ შემთხვევაშიც პოლიციელებმა იმოქმედეს კანონით დადგენილ ფარგლებში. პოლიციელებს ჰქონდათ საფუძველი, ევარაუდათ, რომ ეს პირი იყო ის დაკარგული პირი, რომლის ფოტოც მათ თათბირზე ნახეს. ამ საფუძვლით პირის შეჩერების დროს არ არის აუცილებელი, რომ პირი სასამართლოს მიერ იყოს უგზო-უკვლოდ აღიარებული, საკმარისია მისი ნათესავის (ან სხვა პირის) მიერ გაკეთებული სარწმუნო განცხადება.

ბ) საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა ან ჩაიდენს მას

მოცემული კანონისმიერი საფუძველი მოიცავს ორ გარემოებას: ა) როდესაც მომხდარია სამართალდარღვევა და მასთან (სავარაუდოდ) აქვს კავშირი პირს; ბ) როდესაც ჯერ სამართალდარღვევა არ არის მომხდარი, მაგრამ შეიძლება ის კონკრეტულმა პირმა ჩაიდინოს.

მაგ. №1: პოლიციის თანამშრომლები ახორციელებდნენ ქვეითად პატრულირებას. შუაღამის საათებში ქუჩაზე მათ შემოესმათ მსხვრევის - მინის ჩატეხვის ხმა და გაემართნენ ამ მიმართულებით. დაინახეს, რომ მაღაზიის მინა იყო ჩატეხილი. მაღაზიის მიმდებარედ სწრაფი ნაბიჯებით მოძრაობდა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ხელები ჰქონდა სისხლიანი (ქუჩა განათებული იყო). ამის გამო პოლიციელები მივიდნენ მასთან, მოსთხოვეს შეჩერება, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და სთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელებს გააჩნდათ აღნიშნული ქმედების განხორციელების უფლება და მათ იმოქმედეს კანონით დადგენილ ფარგლებში. პოლიციელებს ჰქონდათ საფუძველი, ევარაუდათ, რომ ეს პირი იყო ის,

ვინც ჩაამსხვრია ფანჯრის მინა. ამაზე მიუთითებდა როგორც პირის იმდროინდელი ადგილსამყოფელი, ასევე სისხლიანი ხელები. შესაძლოა, მან ხელების გამოყენებით ჩაამსხვრია ფანჯარა, რაც, ბუნებრივია, დააზიანებდა მის ხელებს. ტერმინი *„სამართალდარღვევა“* გულისხმობს როგორც ადმინისტრაციულ გადაცდომას, ასევე დანაშაულს. მოცემულ მაგალითში სამართალდარღვევა უკვე მომხდარია და პირის ამ სამართალდარღვევის ჩამდენად მიჩნევის საკმარისი საფუძველია. ანუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა და, შესაბამისად, შესაძლებელია მის მიმართ ჩატარდეს პირის გამოკითხვა.

მაგ. №2.: პოლიცია იძიებდა მიმდინარე წლის 2 თებერვალს „ოქროს სამყაროდან“ ოქროს ნაკეთობის ქურდობის ფაქტს. გამოძიების პროცესში მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეოკამერებით დადგენილ იქნა დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი, რომელსაც ეცვა წითელ და შავ ფერებში გაწყობილი კაპიუშონიანი ზედა, იყო მაღალი, გამხდარი და ჰქონდა დიდი წვერი. ამავე წლის 5 თებერვალს პოლიციის თანამშრომლებმა ზუგდიდში ლ. ქობალიას ქუჩაზე შენიშნეს პირი, რომელსაც ეცვა წითელ და შავ ფერებში გაწყობილი კაპიუშონიანი ზედა, იყო მაღალი, გამხდარი და ჰქონდა დიდი წვერი. ამის გამო პოლიციელები მივიდნენ მასთან, მოსთხოვეს შეჩერება, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელებმა იმოქმედეს კანონით დადგენილ ფარგლებში. პოლიციელებს ჰქონდათ საფუძველი, ევარაუდათ, რომ ეს პირი იყო ის, ვინც 2 თებერვალს „ოქროს სამყაროდან“ მოიპარა ოქროს ნაკეთობა. სამართალდარღვევა ამ შემთხვევაშიც უკვე მომხდარია და პირის ამ სამართალდარღვევის ჩამდენად მიჩნევის საკმარისი საფუძველია. ანუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა და, შესაბამისად, შესაძლებელია მის მიმართ ჩატარდეს პირის გამოკითხვა. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ეს პირი ჯერ არ არის ძებნილად გამოცხადებული (რადგან მისი ვინაობა უცნობი იყო), მიუხედავად იმისა, რომ ის იდენტური გარეგნული ნიშნების გამო შეაჩერეს, შეჩერების საფუძველია შემდეგი დანაწესი - „არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა“. ორივე განხილული მაგალითი შეეხებოდა მომხდარ სამართალდარღვევასთან პირის დაკავშირებას.

მაგ. №3: 2018 წლის 30 ივლისს პოლიციის თანამშრომლები ქვეითად პატრულირებდნენ ოზურგეთში. ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე, ბანკთან, მათ შენიშნეს დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას მყოფი პირი - ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ეცვა ტყავის ქურთუკი და თავზე ეხურა ქუდი და ამასთანავე ეკეთა პირბადე. ის არ შედიოდა ბანკში, თუმცა აკვირდებოდა ბანკში მუშაობის პროცესს. ამის გამო პოლიციელები მივიდნენ მასთან, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელებმა იმოქმედეს კანონით დადგენილ ფარგლებში. ზაფხულის ცხელ ამინდში ქურთუკით სიარული, ბუნებრივია, ბადებს საკმარის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ პირს, შესაძლოა, ქურთუკის შიგნით რაიმე ობიექტი ჰქონდეს, ასევე ცხელ ამინდში ქუდით და პირბადით სიარული ბუნებრივია ბადებს საკმარის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ პირს შესაძლოა არ სურდეს სხვების მიერ მისი სახის დანახვა. ამ გარემოებების გათვალისწინებით მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა პოლიციელებმა იფიქრონ, რომ ეს პირი აპირებს სამართალდარღვევის ჩადენას, კერძოდ, ბანკიდან გარკვეული ხერხით თანხის დაუფლებას. როგორც ვხედავთ სამართალდარღვევა ჯერ არ არის მომხდარი, მაგრამ პირის მდგომარეობა მიანიშნებს, რომ მან შესაძლოა ჩაიდინოს სამართალდარღვევა, ანუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთ-

ვის, რომ პირი ჩაიდენს სამართალდარღვევას და, შესაბამისად, შესაძლებელია მის მიმართ ჩატარდეს პირის გამოკითხვა.

გ) პირი იმყოფება სპეციალური რეჟიმისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ან ობიექტზე ან სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელების ადგილზე

მოცემულ შემთხვევაში პირის ვინაობის დადგენის აუცილებლობა განპირობებულია ადგილის სპეციფიკით და სხვა დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საჭიროება არ არსებობს. სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებული ტერიტორიებისა და ობიექტების ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით. კერძოდ, დადგენილებით განსაზღვრულია სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებული ტერიტორიებისა და ობიექტების ნუსხა, რომელშიც შედის:

ა) საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების (მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკების) დაწესებულების შენობა-ნაგებობა და ტერიტორია; ბ) საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების შენობა-ნაგებობა და ტერიტორია; გ) ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა-ნაგებობა და ტერიტორია; დ) საქართველოს საპატრიარქო; ე) საელჩოები და საკონსულო დაწესებულებები, აგრეთვე შესაბამისი იმუნიტეტის ქვეშ მყოფი პირების საცხოვრებელი სახლი; ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტები; ზ) დაცული ტერიტორია; თ) ტერიტორიული ზღვა და შიდა საზღვაო წყლები; ი) სასაზღვრო გამტარი პუნქტი; კ) სასაზღვრო ზონა და ზოლი; ლ) ნავსადგურის ტერიტორია და საღუზე რაიონები (წერტილები); მ) აეროპორტის ტერიტორია; ნ) საქართველოს რკინიგზა, რკინიგზის სადგური და ვაგზალი; ო) სპორტული ან კულტურული დანიშნულების შენობა-ნაგებობა 300-ზე მეტ მაყურებელზე; პ) სახელმწიფო მუზეუმი; ჟ) მასიური სპორტის ან სხვა ღონისძიების/თავშეყრის ადგილი (ობიექტი); რ) მაგისტრალური ნავთობსადენი, გაზსადენი და წყალსადენი; ს) ნავთობისა და ბუნებრივი აირის საცავის ტერმინალი; ტ) ჰიდრო და თბო ელექტროსადგური; უ) ხიდები, გვირაბები და გზაგამტარები; ფ) საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკები; ქ) სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი და მისი ტერიტორიული ორგანოები; ღ) მეტროპოლიტენი; ყ) ტელეცენტრის შენობა-ნაგებობა, ტელე და კავშირგაბმულობის ყველა სახის ანძა; შ) წყალსაცავი და წყალმომარაგების ცენტრალური სისტემა (ობიექტი); ჩ) რადიოაქტიურ ან/და ტოქსიკურ ნივთიერებათა შენახვის ობიექტი; ც) ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო სამრეწველო, სამეცნიეროსაკონსტრუქტორო, საბაჟო და სასაზღვრო დანიშნულების შენობა-ნაგებობა (ობიექტი); ძ) ბაგა-ბაღის, სკოლის, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შენობა-ნაგებობა და ტერიტორია; წ) სამედიცინო ცენტრი, საავადმყოფო, სანატორიუმი და ლაბორატორია; ჭ) საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლობათა შენობა-ნაგებობა და მისი კომპლექსი (საელჩო, საკონსულო, მისია, წარმომადგენლობა, კულტურის ცენტრი); ხ) სახელმწიფო ორგანოს მიერ შექმნილი მართვის პუნქტები, თავშესაფრები და დამცავი ნაგებობები; ჯ) სხვა ობიექტი, რომელზეც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, განსაზღვრული ვადით დადგენილი იქნება ასეთი რეჟიმი.[6]

ნუსხაში შესულია სტრატეგიული ობიექტები, რომელთა გამართული ფუნქციონირება აუცილებელია სახელმწიფოში სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ტერიტორიაზე (ობიექტზე) ყოფნა უკვე წარმოადგენს საფუძველს პირის შეჩერებისა და პრევენციული ღო-

[6] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №377 (სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებული ტერიტორიებისა და ობიექტების ნუსხის დადგენის შესახებ).

ნისძიების - პირის გამოკითხვის - ჩატარებისთვის. სხვა დასაბუთება პოლიციელს არ ესაჭიროება, თუმცა, ბუნებრივია, მცირე ობიექტური სურათი უნდა არსებობდეს ამ ღონისძიების განსახორციელებლად.

მაგ. №1.: პირი, რამდენიმე საათია, რაც იმყოფება მეტროპოლიტენის სადგურში. იგი არც ერთი მიმართულებით მიმავალ მეტროს შემადგენლობას არ მიჰყვება. ამის გამო, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორები მივიდნენ მასთან, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მაგ. №2.: პირი, რამდენიმე საათია, რაც იმყოფება როკის გვირაბში, იგი მივა ერთ წერტილამდე შემდგომ კი ისევ დაბრუნდება მეორე წერტილში. ამის გამო პოლიციელები მივიდნენ მასთან, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მაგ. №3.: პირი, რამდენიმე საათია, რაც იმყოფება აეროპორტის ტერიტორიაზე. მას თან არ აქვს არც ბარგი, იგი არ დახვედრია არც ერთ მგზავრს. უახლოესი 3 საათის განმავლობაში კი აეროპორტში რეისის მიღება არ არის დაგეგმილი. ამის გამო პოლიციელები მივიდნენ მასთან, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სამივე შემთხვევაში ჩანს, რომ პირი რაიმე აგრესიულ ქმედებას არ ახორციელებს, არც რაიმე ნიშანია, რომ იგი შემჩნეულია სამართალდარღვევაში, მაგრამ პირი იმყოფება ისეთ ადგილზე, რომელიც დაქვემდებარებულია სპეციალურ კონტროლს, ვინაიდან ასეთი ადგილებში დანაშაულის ჩადენისა და დიდი ზიანის გამოწვევის მომეტებული საშიშროებაა, სხვა დამატებითი საფუძვლის გარეშეც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება, მასთან მისვლა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა და პერსონალური მონაცემების გამოკითხვა. სამივე შემთხვევაში პოლიციელებს სრული უფლებამოსილება გააჩნდათ, რომ ჩაეტარებინათ პირის გამოკითხვა. შესაბამისად, მათი მოქმედება კანონიერია.

სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელების ადგილი არის წინასწარ შერჩეული ტერიტორია, სადაც განსაზღვრული დროით (აგრეთვე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამის ტერიტორიაზე და სათანადო დროით) მიმდინარეობს შემოწმება.[7]

მაგ. №4.: 2017 წლის 25 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოცხადდა სპეციალური საპოლიციო კონტროლი. ამის გამო, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა ნავთლუღის ქუჩაზე შეაჩერეს პირი, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პოლიციელებს ამის უფლებამოსილება გააჩნდათ. თუ განსაზღვრულ ტერიტორიაზე (განხილულ მაგალითში - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი) გამოცხადებულია სპეციალური საპოლიციო კონტროლი, შესაძლებელია ამ ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი (ბუნებრივია, ცალკეული გამონაკლისების გარდა) პირის გამოკითხვა და სხვა რაიმე დამატებითი საფუძვლის არსებობა არ არის სავალდებულო.

დ) პირს თან აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იარაღი, რომლის ტარებაც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, და ამ იარაღის ტარების უფლების დადგენა სხვაგვარად შეუძლებელია

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღის და ცივი იარაღის (და სხვა) ტარებას სჭირდება სპეციალური ნებართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ტარება ითვლება დანაშაულად. არსებობენ

[7] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ 24-ე მუხლი.

პირები, რომლებიც შესაძლოა არ ატარებენ სპეციალურ ფორმას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უფლებამოსილი არიან, რომ ატარონ ცეცხლსასროლი იარაღი. ბუნებრივია, ყველა ასეთი პირის ვინაობა პოლიციელებისთვის წინასწარ ცნობილი არ არის. შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევაში შესაძლებელია ასეთ პირთა შეჩერება და პირის გამოკითხვა. ამის გარდა, შესაძლებელია, რომ კერძო პირმაც ატაროს იარაღი (უკანონოდ/კანონიერად) და ამ გარემოების შესაფასებლად საჭიროა მისი შეჩერება.

მაგ. №1.: პოლიციის თანამშრომლებმა შეაჩერეს სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პირი, რომელსაც პულოვერის ქვემოთ, საქამრე არეში აღენიშნებოდა იარაღის კონფიგურაციის მსგავსი საგანი. პოლიციელებმა გამოჰკითხეს მას პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე იარაღის კანონიერად ტარების დამადასტურებელი დოკუმენტი. გადამოწმების შედეგად ეს პირი აღმოჩნდა გიორგი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფროსი სპეციალური წოდება. მას ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ნებართვა.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელების მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან გიორგი იყო სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი და, შესაბამისად, მის მიერ იარაღის ტარების უფლების დადგენა სხვაგვარად შეუძლებელი იყო.

მაგ. №2.: პოლიციის თანამშრომლებმა შეაჩერეს სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პირი, რომელსაც პულოვერის ქვემოთ, საქამრე არეში აღენიშნებოდა იარაღის კონფიგურაციის მსგავსი საგანი. პოლიციელებმა გამოჰკითხეს მას პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე იარაღის კანონიერად ტარების დამადასტურებელი დოკუმენტი. გადამოწმების შედეგად ეს პირი აღმოჩნდა დემეტრე, რომელსაც არ ჰქონდა იარაღის ტარების უფლება.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელების მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან დემეტრე იყო სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი და შესაბამისად მის მიერ იარაღის ტარების უფლების დადგენა სხვაგვარად შეუძლებელი იყო. ბუნებრივია, ამ დროს დემეტრეს შეჩერების საფუძვლად შესაძლოა ასევე გამოყენებულიყო ზემოთ ხსენებული გარემოება (არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა ან ჩაიდენს მას), მაგრამ, ვინაიდან ეს კერძო შემთხვევაა, უმჯობესია ამ საფუძვლის გამოყენება. ასევე დასაშვებია ორივე საფუძვლის ერთდროულად გამოყენება.

ე) პირი იმყოფება დანაშაულის ან საგზაო-სატრანსპორტო ან სხვა საგანგებო შემთხვევის ადგილზე

მოცემულ შემთხვევაშიც პირის ვინაობის დადგენის აუცილებლობა განპირობებულია ადგილის სპეციფიკით და სხვა დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საჭიროება არ არსებობს. კანონი ითვალისწინებს სამ ადგილმდებარეობას: 1. დანაშაულის (შემთხვევის) ადგილი; 2. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილი და 3. სხვა საგანგებო შემთხვევის ადგილი.

შემთხვევის ადგილი არის ის ადგილი, სადაც მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილია მისი კვალი.[8] პირის შემთხვევის ადგილზე ყოფნა საკმარისია იმისთვის, რომ მის მიმართ ჩატარდეს პირის გამოკითხვა.

მაგ. №1: პოლიციის განყოფილებაში დაიწყო გამოძიება მოქალაქე დემეტრეს მკვლელობის მცდელობის გამო. დემეტრეს დაჭრის ადგილზე (დანაშაულის ადგილი) მყოფ მოქალაქეებს პოლიციელებმა გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია) არის გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძ-

[8] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლი.

რაობისას მისივე მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა ან სხვა ქონება.[9] საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილი არის ის ადგილი, სადაც მოხდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია). პირის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის (ავარია) ადგილზე ყოფნა საკმარისია იმისთვის, რომ პირის მიმართ ჩატარდეს პირის გამოკითხვა.

მაგ. №2: წყალწმინდაში (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) მოხდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის შედეგადაც დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება და სხვა ქონება. პატრულ-ინსპექტორებმა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე მყოფ მოქალაქეებს პოლიციელებმა გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სხვა საგანგებო შემთხვევის ადგილი არის კონკრეტული ვითარებით გამოწვეული თავშეყრის ადგილი, მაგალითად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის ვიზიტი სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილას; საახალწლო კონცერტი ღია ცის ქვეშ; უცხოელი პირების ვიზიტის დროს დახვედრის ცერემონიის ადგილი; შეკრების/ მანიფესტაციის ჩატარების ადგილი და ა. შ. პირის საგანგებო შემთხვევის ადგილზე ყოფნა საკმარისია იმისთვის, რომ მის მიმართ ჩატარდეს პირის გამოკითხვა.

მაგ. №3: ქ. სოხუმში ერთიანობის მოედანზე საქართველოს პრეზიდენტი მართავს შეხვედრას ადგილობრივ მოსახლეობასთან. პოლიციის თანამშრომლებმა შეხვედრაზე მყოფ მოქალაქეებს შეხვედრის დაწყებამდე გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სამივე შემთხვევაში პოლიციელის მოქმედებები მართებულია, ვინაიდან პირები იმყოფებოდნენ სპეციფიკურ ადგილზე, სადაც შესაძლებელი იყო მათი გამოკითხვა. მესამე მაგალითში პირთა გამოკითხვის საფუძვლად ასევე შესაძლებელია მიჩნეული იყოს სხვა საფუძველიც, კერძოდ - პირი იმყოფება სპეციალური რეჟიმისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ან ობიექტზე, ვინაიდან მასიური სპორტის ან სხვა ღონისძიების/თავშეყრის ადგილი (ობიექტი) ექვემდებარება სპეციალურ რეჟიმს.

ვ) პირის ან სატრანსპორტო საშუალების გარეგნული ნიშნები ან პირის მოქმედება სამართალდარღვევაში მის შესაძლო მონაწილეობაზე მიანიშნებს

მოცემულ შემთხვევაში პირის გარეგნული ნიშნები ან პირის მოქმედება სამართალდარღვევაში მონაწილეობას მიანიშნებს, ოღონდ არა იმ ნიშნით, რომ თავად ამ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა, რადგან ასეთ შემთხვევაში გვექნებოდა შემდეგი საფუძველი - არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა. მოცემულ შემთხვევაში პირი არის სამართალდარღვევის დაზარალებული, მოწმე და არა სამართალდამრღვევის ჩამდენი. ამ შემთხვევაშიც ტერმინ სამართალდარღვევაში არ იგულისხმება მხოლოდ ადმინისტრაციული გადაცდომა, აქ იგულისხმება ასევე დანაშაული. ბუნებრივია, პოლიციელები ვალდებულები არიან, რომ დაიცვან ისეთი პირები, რომლებიც დაზარალდნენ დანაშაულის შედეგად. ასევე პოლიციელის ვალდებულებაა გამოავლინოს დანაშაული ან სხვა სამართალდარღვევა.

მაგ. №1: პოლიციის თანამშრომლები ქვეითად პატრულირებდნენ. ქუჩაში მათ დაინახეს ახალგაზრდა პიროვნება, რომელსაც ტანისამოსი ჰქონდა შემოხეული, სახეზე აღენიშნებოდა დაზიანების კვალი და ცხვირიდან სდიოდა სისხლი. ეს პიროვნება ტიროდა. ამის გამო თანამშრომლებმა ის შეაჩერეს, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთანავე მათ გამოუძახეს სასწრაფო-სამედიცინო დახმარებას.

[9] „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 65-ე პუნქტი.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელების მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან პირს აშკარად ეტყობოდა დაზიანების კვალი და შესაბამისად უნდა დადგენილიყო ამ პირის ვინაობა და უნდა განმარტებულიყო დაზიანების წარმოშობის გზა. ანუ პირის გარეგნული ნიშნები (შემოხეული ტანისამოსი და დაზიანება სახეზე, ასევე ცხვირიდან სისხლის დენა) და მისი მოქმედება (ტირილი) სამართალდარღვევაში მის შესაძლო მონაწილეობაზე მიანიშნებს. კერძოდ, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ პირზე იძალადეს და ის არის დაზარალებული.

მაგ. №2.: პატრულ-ინსპექტორებმა სენაკში, თეკლათის მიმდებარედ შეაჩერეს ავტომობილი, რომელსაც მარცხენა გვერდითა მხარეს საწვავის ავზის ხუფის ქვემოთ აღენიშნებოდა დიდი დაზიანება. თანამშრომლებმა მძღოლს გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის/მართვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელების მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან ავტომობილს აშკარად ეტყობოდა დაზიანების კვალი და, შესაბამისად, უნდა დადგენილიყო ამ დაზიანების წარმოშობის გზა. ანუ ავტომობილის გარეგნული ნიშნები (დაზიანებული გვერდითა მხარე) სამართალდარღვევაში მის შესაძლო მონაწილეობაზე მიანიშნებს. კერძოდ, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ ავტომობილს შეეჯახნენ.

II. საჭირო ინფორმაციის მიღება

ზემოთ განხილული იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ღონისძიების მიზანი იყო პირის ვინაობის დადგენა. პრევენციული ღონისძიება - პირის გამოკითხვა - ვინაობის დადგენასთან ერთად ითვალისწინებს საპოლიციო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას. ინფორმაციის მიღება შეიძლება მოხდეს როგორც ვინაობის დადგენასთან ერთად, ასევე მისგან განცალკევებით, როდესაც პოლიციელისთვის პირის ვინაობა უკვე ცნობილია და მისგან სხვა ინფორმაციის მიღებაა საჭირო. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია პირისგან საჭირო ინფორმაციის მიღება. კანონში ეს გარემოება შემდეგნაირად არის ასახული: პოლიციელი უფლებამოსილია, გამოჰკითხოს პირი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მას აქვს საპოლიციო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაცია.[10] კანონის აუცილებელი მოთხოვნაა, პოლიციელს ჰქონდეს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ეს პირი (ვის გამოკითხვასაც აპირებს) ფლობს ინფორმაციას, რომელიც საპოლიციო ფუნქციების შესრულებისთვის არის საჭირო/გამოსადეგი, სანამ პოლიციელი გამოკითხვის ჩატარებას დაიწყებს. ბუნებრივია ის, რომ პირის მიერ ინფორმაციის მიწოდება ნებაყოფლობითია და პირს უნდა განემარტოს აღნიშნულთან დაკავშირებით. პირი უფლებამოსილია, რომ პოლიციელის კითხვებს არ გასცეს პასუხი და ეს ვერ გახდება მისთვის რაიმე პასუხისმგებლობის საფუძველი. ამიტომ არის აუცილებელი, რომ პოლიციელი ფლობდეს ეფექტური კომუნიკაციის ჩვევებსა და უნარს. პირს უნდა განემარტოს გამოკითხვის საფუძველი, თუ ეს ხელს არ შეუშლის პოლიციას, შეასრულოს მისი ფუნქციები.

ამასთანავე ამ ღონისძიების განხორციელების დროს გასათვალისწინებელია არასრულწლოვანთან ჩასატარებელი ღონისძიების სპეციფიკურობა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნის მიმართ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებებს, მათ შორის, პრევენციულ ღონისძიებას - პირის გამოკითხვას - ახორციელებს მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პოლიციელი. ამასთანავე, პირის გამოკითხვის ჩატარება 14-17 წლის არასრულწლოვნის მიმართ დასაშვებია მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე. 14 წლამდე არასრულწლოვნის მიმართ პირის გამოკითხვის ჩა-

[10] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

ტარება შესაძლებელია მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. როგორც აღინიშნა, ორივე შემთხვევაში პოლიციელი უნდა იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული.

მაგ. №1: პოლიციის განყოფილებაში შემოვიდა ანონიმური (ინფორმაციის ავტორის ვინაობა უცნობია) ზარი, რომლის ავტორმა პოლიციას მიაწოდა ინფორმაცია, რომ ბახტრიონის ქუჩაზე მცხოვრებ გიორგი დემეტრაძეს სახლში რამდენიმე ქოთანში ჩარგული ჰქონდა მარიხუანა და ეწეოდა მის უკანონო კულტივიზაციას. შეტყობინებაზე გასულმა პოლიციელმა (რომელიც იყო სპეციალიზებული არასრუწლოვანთა მართლმსაჯულებაში) უბანში ნახა 17 წლის მერაბი. პოლიციელმა იცოდა მერაბის ასაკი და ვინაობა, პოლიციელმა მერაბს გამოკითხვამდე განუმარტა ნებაყოფლობითობის საკითხი, თუმცა არა გამოკითხვის საფუძველი. პოლიციელმა მერაბს ჰკითხა გიორგის დემეტრაძის სახლის მისამართის შესახებ და მიიღო პასუხი.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელების მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან მერაბი იყო 17 წლის და მის მიმართ გამოკითხვის ჩატარება დასაშვებია მშობლის გარეშე. ამასთანავე, პოლიციელი იყო სპეციალიზებული. ვინაიდან მერაბი ცხოვრობდა იმავე უბანში, სადაც იყო გამოძახება, არსებობდა საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მას გააჩნდა ინფორმაცია, რომელიც პოლიციელს მისი ფუნქციების შესრულებაში დაეხმარებოდა. პოლიციელი მართებულად მოიქცა, როდესაც მერაბის არ განუმარტა გამოკითხვის საფუძველი, ანუ ის გარემოება, თუ რატომ აინტერესებდათ მათ გიორგის საცხოვრებელი სახლი, ვინაიდან შესაძლოა, მერაბის გიორგისთვის შეეტყობინებინა ის ფაქტი, რომ პოლიციას ჰქონდა ინფორმაცია მის (გიორგის) სახლში არსებული უკანონო ქმედების (მარიხუანის კულტივიზაცია აკრძალულია) შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიციელების მოქმედება სრულად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

პირის გამოკითხვა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და გავრცელებული ღონისძიების სახეა, ვინაიდან ამ დროს შესაძლებელია პირთან უშუალო კომუნიკაციის დამყარება, მისი ვინაობის დადგენა და მისგან ინფორმაციის მიღება. გამოკითხვის ჩატარების დროს დაცული უნდა იქნეს ის მოთხოვნები, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19, 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლებით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების ჩატარების დროს პოლიციელმა უნდა დაიცვას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 11 აპრილის № 290 ბრძანება (საპოლიციო პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ზოგიერთი წესის განსაზღვრის შესახებ).